პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

4 ნოემბერი ხუთშაბათი 1971 წელი — კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 მარტიდან ● № 255 (15165)

სოფლის მშრომელნო! იბრძოლეთ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის! აამაღლეთ ყველა კულტურის მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, გაადიდეთ პროდუქციის წარმოება, გააუმჯობესეთ ტექნიკის, შრომითი და მატერიალური რესურსების გამოყენება!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოკტომბრო მოწოდებებიდან

დათესილია 21.934 ჰექტარი

სიღნაღის რაიონის მზეზელ-ოფლისფალვის სტრატომბრი-ოფლისფალვის [illegible] მატებას მიაღწიეს. ნაცვლად 21.877 ჰექტარისა 21.934 ჰექტარი საშემოდგომო კულტურები დათესეს.

ეს რედაქციას აცნობეს პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. გელაშვილმა და სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაიხაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. კრაყაშვილმა.

ხოგელ მესიმინდთა წარმატება

გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება სასილმწიფოსათვის ხოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის დაჯილებათა ვადამდე შესრულებისათვის, ხობის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები დიდ წარმატებებს აღწევენ. მათ სამშობლოს უპატაკეს, რომ შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხიმინდის მიყიდვის წლიური გეგმა. 3 ნოემბრისათვის სამშობლოს ბეღლებში შეინახეს 1.478 ტონა ხიმინდის მარცვალი გეგმით გათვალისწინებული 1400 ტონის ნაცვლად.

ამ კულტურის ყველაზე უხვი მოსავალი მოიწიეს სოფელ ბიის კალინინის სახელობის, სოფელ პირველი მაისის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობებმა, ქვალონის, ახალსოფლის, პატარა ფოთის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობებმა, სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა „ჭოლხეთმა“ და სხვა მეურნეობებმა.

სიმინდის მარცვლის ჩაბარება სახელმწიფოსათვის გრძელდება. (საქდესი).

რეალიზაციაც. ეოგეგაც

თბილისი. მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა ვადამდე შეასრულა საოქტომბროდ ნაკისრი ვალდებულებანი, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდა ხუთწლედის პირველი წლის ათი თვის დავალება. ფეიერბმა გეგმის გადამეტებით მოახდინეს 1 მილიონ 524 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია. შრომის ნაყოფიერების გადიდებით, მოჭარნეობითა და ყაირათიანობით მარტო ცხრა თვეში 170 ათასი მანეთი მოგება მიიღეს.

კომბინატში ფართოდ გავრცელდა შეჯიბრება ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულებისათვის. ახლა წარმოებებში არა მარტო ცალკეული მუშები, არამედ ბრიგადები და (ცალებიც კი ოთხ დღეში ასრულებენ ხუთი დღის ნორმებს.

მეცხოველეობა — სამრეწველო საფუძველზე!

ჯერ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი კორესპონდენცია „ფრინველი ულევი, უთვალავი“ მოგვითხრობს თუ როგორ მიმდინარეობს თეთრი წყაროს რაიონის კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა, როგორია ამ ფაბრიკის მომავალი და რა რაოდენობით აწარმოებს პროდუქტებს. მკითხველი ამ კორესპონდენციიდან აგრეთვე შეიტყობს მშენებლობის გადაწყვეტილებას ფაბრიკის ერთი წლით ადრე ამოქმედების შესახებ. „კომუნისტის“ რედაქციამ ამასთან დაკავშირებით კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობაზე შექმნა საკონტროლო საგუშაგო. საგუშაგოს მიზანი ის არის, რომ მშენებლებს დაეხმაროს მათი გადაწყვეტილების დროულად შესრულებაში, მოწინავეების მარჯვენა შეუქროს, ამასთან ჩამორჩენის მიზეზებიც ამხილოს გაზეთის ფურცლებზე ასეთივე საგუშაგოები შეიქმნება სოფლის სხვა დიდ მშენებლობებზე.

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ახალ ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში სოფლად ბევრი ახალი საწარმო აშენდება. რომლებიც უხვად აწარმოებენ მეცხოველეობის პროდუქტებს. მეცხოველეობის ფაბრიკები და რეპროდუქციები აშენდება გორში, კოდაში, გამარჯვებაში, ლანჩხუთში ზუგდიდში, ოჩამჩირეში, ცხინვალში, ახალციხეში, ნორიოში, მცხეთასა და ციხისძირში. გარდა ამისა მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკები და ფირმები აშენდება ყვარელში, საგარეჯოში, ქარელში, თელავში, გურჯაანში, ლაგოდეხში, თერჯოლაში, თიანეთში, სიღნაღში, ჩოხატაურში, ახალქალაქში, წალკაში, დუშეთში, წყალტუბოში, სამტრედიაში, ზესტაფონში, ხობში, აბაშაში, ყოველივე ეს ერთდება იმისათვის, რომ ხუთწლედის ბოლოს ფრინველის ხორცის წარმოება გაიზარდოს 20.000 ტონამდე, ხოლო კვერცხისა 518 მილიონ ცალამდე.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებამ სამრეწველო საფუძველზე ამ ბოლო დროს ჩვენს რეპუბლიკაში თვალსაჩინო მიიღო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი ხუთწლედის პირველი წელი. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული მეცხოველეობის კომპლექსური ფაბრიკებისა და ფირმების მშენებლობა დამკვრელური ტემპით მიმდინარეობს. ახლა ხუთწლედში საქართველოში აშენდება მეცხოველეობის ცხრა სახელმწიფო, თვრამეტი საკოლმეურნეობათაშორისო და რვა საკოლმეურნეო კომპლექსი. მეცხოველეობის სახელმწიფო კომპლექსები ახალი ხუთწლედის ბოლო წელს 10 ათას ტონამდე ხორცსა და 14 ათას ტონამდე რძეს აწარმოებენ. ყოველივე ეს დიდად შეუწყობს ხელს მეცხოველეობის პროდუქტებით მშრომელთა მომარაგების გაუმჯობესებას.

მეცხოველეობის კომპლექსებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობას ძირითადად საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო და სხვა ორგანიზაციები აწარმოებენ. მშენებლებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ ხუთწლედის ახალი მშენებლობანი ვადაზე ადრე ჩააყენონ მწყობრში. ამასთან არ უნდა დაიგიწყონ მშენებლობის ხარისხი. არ უნდა გამეორდეს ისეთი შემთხვევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წინა წლებში, როცა საგარეჯოსა და ბაგრის მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობაზე არა მარტო მშენებლობის ვადები ირღვეოდა, არამედ თვით მშენებლობა უხარისხოდ მიმდინარეობდა. რამაც გამოიწვია დიდი ზარალი. რა თქმა უნდა, ამისათვის დამნაშავენი სათანადოდ დაისაჯნენ, მაგრამ ამას იმიტომ ვიხსენებთ, რომ ასეთი რამ აღარ გამეორდეს. მეცხოველეობის დიდი კომპლექსები და მეფრინველეობის ფაბრიკები ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით შენდება. ამ საქმეზე დიდძალი თანხები იხარჯება და მშენებლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათმა ნახელავმა დროს უნდა გაუძლოს. ეს საშვილიშვილო მშენებლობანი მკვიდრი უნდა იყოს. ამასთან იქ ყოველგვარი პირობები უნდა იყოს მეცხოველეთა შრომისა და დასვენებისათვის.

სულ მალე დამთავრდება მეჯვრისხეულისა და კოდის მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა. ბოლოწლიწის მანძილზე კი ბევრი კომპლექსი ამოშავდება. იქ გარდა სამეურნეო ნაგებობებისა შენდება კომფორტული საცხოვრებელი ბინები, სკოლები, საბავშვო და სამედიცინო დაწესებულებები კლუბები. ასე რომ დიდ ფაბრიკებთან იქმნება ახალი კეთილმოწყობილი დაბები. იქ შრომა და ცხოვრება საინტერესო და საბალისოა. ფაბრიკებში სამუშაოდ საჭიროა მივიზიდოთ უმთავრესად ახალგაზრდები. მათ იქ შრომისა და ყოფაცხოვრების შესანიშნავი პირობები ექნებათ. ახალგაზრდების სამუშაოზე გაგზავნის საქმეში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან კომკავშირის რაიკომებმა. მათ უნდა შეარჩიონ უნარიანი, საქმის მოყვარული და მკოდნე ახალგაზრდები, რომლებიც ენერგიის დაოზოგვად იმუშავებენ საერთო საქმის შემდგომი აღმავლობისათვის, მეცხოველეობის განვითარებისათვის.

მეცხოველეობის დიდ კომპლექსებში შრომა მანქანური წესით წარმოიებ. ადრე რეკორდად ითვლებოდა როცა ერთი კაცი ფერმაში რამდენიმე ასეულ ღორს უვლიდა, ხოლო ერთი მეფრინველე ათას ქათამს ზრდიდა. ახლა ის ციფრები ვერავის ვერ გააკვირვებს. დიდ კომპლექსებში თერმობში, თაბრიკებში ახალ-ახალი პროფესიები ჩნდება და იქ მომუშავენი ათასობით ფრინველს უვლიან მანქანური წესით. ასეთი პროფესიებია სასუქმბელი ოპერატორი, მანქანური წველის ოსტატი. მეორინველე-ოპერატორი, ასე რომ ახლანდელი მეცხოველე — ეს არის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. რომლის შრომას ხათუძთოლო ოდიეს ტექნიკის ფართოდ გამოყენება. დღეს მანქანები და მექანიზმები, რომელთაც ადამიანს ხელი ხაფოძვლების ცოდნა — აი ის აუცილებელი მოთხოვნა დღეგანდელი მეცხოველეებისადმი. იმ დარგის მუშაკებისადმი, რომელიც თანდათან გადადის სამრეწველო ინდუსტრიის რელსებზე. იმიტომ, რომ ვეყოვდეს სრულყოფილი ცოდნით აღჭურვილი კადრები მეცხოველეობის კომპლექსებსა და ფაბრიკებში სამუშაოდ. პროფტექნიკურ სასწავლებლები სულ უფრო მეტი რაოდენობით ეხმარებიან მას გაადიდოს შრომის ნაყოფიერება. შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება. ამიტომ ყამბობთ, რომ მეცხოველეობის დიდ კომპლექსებსა და მეფრინველეობის თერმებში სამუშაოდ უნდა გაიგზავნონ მცოდნე და გამჭრე ადამიანები.

მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია. რთული მანქანური ტექნიკის სრულყოფილებისა და ვეტერინარიის საქმეში ზოოტექნიკოსი და ვეტერინარიის საფუძვლების ცოდნა — აი ის აუცილებელი მოთხოვნა დღეგანდელი მეცხოველეებისადმი. იმ დარგის მუშაკებისადმი, რომელიც თანდათან გადადის სამრეწველო ინდუსტრიის რელსებზე. იმიტომ, რომ ვეყოვდეს სრულყოფილი ცოდნით აღჭურვილი კადრები მეცხოველეობის კომპლექსებსა და ფაბრიკებში სამუშაოდ. ეხმარებიან მას გაადიდოს შრომის ნაყოფიერება. შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება. ამიტომ ყამბობთ, რომ მეცხოველეობის დიდ კომპლექსებსა და მეფრინველეობის თერმებში სამუშაოდ უნდა გაიგზავნონ მცოდნე და გამჭრე ადამიანები.

სოფლის დიდ მშენებლობათა, პირველ რიგში კი მეცხოველეობის კომპლექსებისა და ფაბრიკების მშენებლობის საქმეს პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა, პრესამ ყოველდღიური შეუნელებელი ყურადღება უნდა მიაქცინონ მეცხოველეობის სამრეწველო რელსებზე გადასვლას, მშენებელთა და მეცხოველეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს.

საქართველოს ჟურნალისტთა IV ყრილობა

10 ნოემბერს თბილისში მოწვეულია საქართველოს ჟურნალისტთა IV ყრილობა.

ყრილობა გაიხსნება დილის 10 საათზე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზში (მელოლიქიშვილის ქ. 1).

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 9 ნოემბერს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში (ლენინის ქ. 14) დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე, ხოლო 10 ნოემბერს — ფილარმონიის მცირე დარბაზში დილის 8 საათიდან.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა.

ოქტომბრის შესახვედრად

შეასრულეს წლიური გეგმა

□ **ფაალტაგო.** (საკ. კორ.). ზეთოვანი, მშრალი და სრესილი ფერადი სალებავები, აგრეთვე ოლიფა, რომლებსაც ქიმიური ქარხანა (დირექტორი ს. ქუთათელაძე) უშვებს, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის 500-ზე მეტი მისამართით იგზავნება და ყველგან მოწონებით სარგებლობს. ამიტომაც არის, რომ ქარხანა, როგორც განვლილ, ისე მიმდინარე ხუთწლედში ურეკლამაციოდ მუშაობს.

ქარხნის კოლექტივმა მხარი დაუჭირა მოსკოველთა პატრიოტულ თაოსნობას, ფართოდ გაანაღა სოციალისტური შეჯიბრება წლიური დავალების ვადამდე შესრულებისათვის და იკისრა გეგმა დიდი ოქტომბრის 54-ე წლისთავისათვის — 7 ნოემბრისათვის შეესრულებინა. ქიმიკოსებმა თავიანთი მტკიცე სიტყვა სჯერდ აქციეს — ვადამდე გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულება და 15 ოქტომბრისათვის ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით შეასრულეს ხუთწლედის პირველი წლის დავალება.

საწარმომ 90 ათასი მანეთით გადააჭარბა პროდუქციის რეალიზაციის წლიურ გეგმას და მომავალი წლის ანგარიშში ათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვა. აქ ჯერ კიდევ შვიდ თვეში შეასრულეს მოგების 1971 წლის დავალება და 106 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

□ **მარნეული.** (საკ. კორ.). „საქარამადნეულის“ მასალების საწარმოო გაერთიანების მარნეულის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც ფართოდ გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვა. პირველი ნოემბრისათვის უკვე გამოუშვა 750 ათასი კუბური მეტრი ღორღი და ქვიშა და ამით წლიური გეგმა ორი თვით ადრე შეასრულა.

საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 160 ათასი კუბური მეტრი ღორღი და ქვიშა გამოუშვას და მიაღწიოს წარმოების საპროექტო სიმძლავრეს, რაც 1973 წლისათვის იყო გათვალისწინებული.

საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულის“ (დირექტორი ა. დათუაშვილი) კოლექტივმა მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვა სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

□ **ახალციხე.** (საკ. კორ.). ქვეელ-კარაქის მთავარი ქარხნის (დირექტორი ა. ხვედელიძე) კოლექტივმა, რომელმაც ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 54-ე წლისთავის შესახვედრად, ვადაზე სამი თვით ადრე გაანაღდა წლიური დავალება. გამოუშვა 1.112 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 965 ათასი მანეთისა. ცხრა თვეში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 1,5 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაზოგილია 28,9 ათასი მანეთი.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე 2000 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვას.



ჭიათურის მარგანეცი მსოფლიოში ცნობილია. იგი საბჭოთა კავშირის ასზე მეტ სამრეწველო საწარმოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში იგზავნება. ამიტომ მაღაროელები მუდამ ცდილობენ ვადამდე შეასრულონ დავალება. ოქტომბრის რევოლუციის 54-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა დიმიტროვის სახელობის მაღაროს მეექსკავატორე მიხეილ დეკანოიძე. მოწინავე მემანქანემ მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალება 15 ოქტომბრისათვის შეასრულა.

სურათზე: მოწინავე მემანქანე მიხეილ დეკანოიძე.

ფოტო ა. მაჭავარიანისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მის აღმატებულებას გატონ სალვადორ ალიენდე გოსენსს

ჩილეს რესპუბლიკის პრეზიდენტს

ქ. სანტიაგო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით და პირადად გულითადად გილოცავთ ჩილეს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტის დაკავების პირველ წლისთავს.

საბჭოთა ხალხი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ განვლილ წელს სახალხო ერთიანობის ბლოკის მთავრობამ, რომელსაც თქვენ მეთაურობთ და რომელიც ჩილელი ხალხის ფართო ფენების მზარდი მხარდაჭერით სარგებლობს, სერიოზულ წარმატებებს მიაღწია პროგრესული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების განხორციელებაში, ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობისა და მისი საგარეოპოლიტიკური პოზიციების განმტკიცებაში.

განვლილი წელი იყო აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ჩილეს თანასწორობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობის ფართო და ყოველმხრივი განვითარების წელი.

გისურვებთ, ბატონო პრეზიდენტო, ახალ წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში ჩილეს რესპუბლიკისა და ჩილელი ხალხის საკეთილდღეოდ.

მტკიცედ მწამს, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩილეს რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა კვლავაც განვითარდება და გაღრმავდება ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ნ. პოდგორნი.

მოსკოვი, კრემლი. 1971 წლის 3 ნოემბერი.

ᲓᲘᲓᲘ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ

ვიეტნამიხალდი მხარდაჭერის საბჭოთა კომიტეტმა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა დეპეშა. დეპეშაში გამოთქმულია დიდი თანაგრძნობა მძიმე სტიქიური უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა სამხრეთ ვიეტნამის მთელ რიგ პროვინციებს.

თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულ საბჭოთა ადამიანებს, ნათქვამია დეპეშაში, ამ ვითარებაში მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განამტკიცონ ძმური მეგობრობა და საბრძოლო-სოლიდარობა სამხრეთ ვიეტნამის მებრძოლ ხალხთან, ყოველმხრივი დახმარება და მხარდაჭერა გაუწიონ ამერიკელი აგრესორებისა და მათი მარიონეტების წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში. (საქდესი).

მიფრინავს „კოსმოს-454“

1971 წლის 2 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი, „კოსმოს-454“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტში 1 ნოემბერს გაიმართა პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომელიც მიეძღვნა განიარაღების პრობლემებზე მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა იმ საერთაშორისო შეხვედრის შედეგებს, რომელიც მოსკოვში დამთავრდა. ეს შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს განიარაღების კომისიის ფარგლებში.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ აკადემიკოსმა ე. კ. ფედოროვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ახალი ომის წარმოქნის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში. მან აღნიშნა, რომ სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამა მსოფლიოს ყველა პატიოსან ადამიანს შთააგონებს ბრძოლას დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ჟურნალისტთა წინაშე გამოვიდნენ აგრეთვე მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი ჯ. ბიკარი (საფრანგეთი) და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცეპრეზიდენტი ბ. ბეკანი ჩ. ჩანდრა. მათ განაცხადეს, რომ შეხვედრის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირის ინიციატივას, რომელმაც წამოაყენა წინადადება მოწვეულ იქნას განიარაღების მსოფლიო კონფერენცია.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიცე-პრეზიდენტმა მ. დ. მილიონიშჩიკოვმა, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა ხ. იტონმა (ამერიკის შეერთებული შტატები), განიარაღების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. ნოელ-ბეიკერმა (ინგლისი) აღნიშნეს, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს კომისიის სხდომა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში. (საქდესი).

„ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ“ ᲙᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

აᲮᲚᲝᲕᲔᲓᲐ გამოჩენილი საბჭოთა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ა. ა. ფადეევის დაბადების 70 წლისთავი. მოსკოვში 2 ნოემბერს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის ვ. მ. ოზეროვის თავმჯდომარეობით გაიმართა საიუბილეო კომისიის სხდომა. განიხილეს ღონისძიებანი საიუბილეისათვის მზადების მიმდინარეობა.

ოუბილესათვის დიდი ტირაჟებით გამოდის ა. ა. ფადეევის ნაწარმოებები, წიგნები მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ: გამოსაცემად მზადდება შესანიშნავი მწერლის გამოუქვეყნებელი წერილები. სტატიები და გამოსვლები. დეკემბერში ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან ერთად მოაწყობს სამეცნიერო კონფერენციას.

24 დეკემბერს მოსკოვში პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართება საზეიმო სხდომა.

ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝ 25 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

მეოთხედი საუკუნის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგებს აჯამებს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაცია, რომელიც 4 ნოემბერს აღნიშნავს არსებობის 25 წლისთავს.

ამ თარიღს ეძღვნება სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიის ბიულეტენის მორიგი ნომერი. ნომერში განსაკუთრებული ყურადღება უთმობა იუნესკოს გენერალური კონფერენციის XVI სესიის შედეგებს, რომელმაც მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, კერძოდ, ამ საერთაშორისო ორგანიზაციის როლის გაძლიერების შესახებ მშვიდობისათვის, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. სესიის მიერ დამტკიცებული ახალი ორწლიანი (1971-1972 წლები) პროგრამა ითვალისწინებს საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას მეცნიერების, კულტურისა და განათლების დარგში. (საკდესი).

პარლამენტის სესია

ლონდონი. 3 ნოემბერი. (საკდესი). ვესტმინსტერში გახსნა ინგლისის პარლამენტის მორიგი სესია. მისი მთავარი საკითხი იქნება „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლასთან დაკავშირებული კანონების მიღება. ეს ნაბიჯი გასულ სესიაზე პრინციპულად მოიწონეს მთავრობის უმრავლესობისა და მემარჯვენე ლეიბორისტების ხმების წყალობით.

დეიოფლის სეფე სიტყვით თე ვიმსჯელებთ, რომელშიც ჩამოყალიბებულია მთავრობის პროგრამა, მთავრობა ყველაფერ განახორციელებს რეპრესიების პოლიტიკას ჩრდილოეთ ირლანდიაში.

სიტყვის საგარეო-პოლიტიკური ნაწილი შეიცავს დაპირებას — შეეკიდებით ევროპელ ურთიერთობა დაბალყოროთ საბჭოთა კავშირთან ან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთანო.

სენატორის განცხადება

ნიუ-იორკი. 3 ნოემბერი. (საკდესი). სენატორმა ჯ. მაკოვერნმა განაცხადა, რომ აპირებს წარუდგინოს ამერიკის სენატს უცხოთითისადმი დახმარების შესახებ ახალი კანონპროექტი ნაცვლად უარყოფილი მთავრობის კანონპროექტისა.

როგორც მან განაცხადა, ეს „კანონპროექტი ითვალისწინებს უარის თქმას იმაზე, რომ ამერიკამ დახმარება გაუწიოს სამხედრო დიქტატურის რეჟიმებს. სენატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სენატის უარი, მოიწონოს უცხოეთისადმი დახმარების კანონპროექტი, „გამოხატავს ოპოზიციას ამერიკის სამხედრო ოპერაციებისადმი საზღვარგარეთ“.

მაკოვერნმა მოითხოვა აგრეთვე შეწყდეს ამერიკის ჩარევა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, დაბომბვები და ამერიკამ გაიყვანოს ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან ექვსი თვის ვადაში.

ე. გერეკის გამოსვლა

ვარშავა. 3 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ კატოვიცეში გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ყრილობისწინა საოვევოდო კონფერენცია, რომელზეც გამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი. მან აღნიშნა, რომ საპროგრამო წინასწარდასახულობებს, რომლებსაც შეიცავს ცენტრალური კომიტეტის დირექტივები პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობისათვის, ყველგან დაუჭირეს მხარი პარტიის წევრებმა და ხალხთა მრავალრიცხოვანი ფენებმა, და თქვა, რომ ამ საყოველთაო-ხალხო გამოხმაურებას პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ყრილობისწინა პლატფორმის გამო უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ე. გერეკი დაწვრილებით შეეხო პარტიის რიგების განმტკიცების, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლების საკითხებს.

გრალი მიუძღვით მკვლელობაში

ნიუ-იორკი. 3 ნოემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკის ბრუკლინის რაიონში სხდომები ჰქონდა თავისებურ „ტრიბუნალს“, რომელიც არჩევდა ატიკის საპყრობილეში დაპატიმრებულთა დახოცვის საქმეს.

როგორც გაზეთი „დეილი უორლდი“ წერს, „ტრიბუნალის“ სხდომაზე, რომელიც ზანგთა პარტიამ „შავმა პანტერამ“ მოაწყო, გამოვიდა ბევრი მოწმე, რომლებმაც ილაპარაკეს ატიკის საპყრობილის პატიმართა მძიმე მდგომარეობაზე, აღნიშნეს, რომ მედილეგეები ბუნებრივად იგდებენ და მხეცურად ექცევიან პატიმრებს, შეეხნენ ატიკელ პატიმართა აჯანყების გარემოებებს.

მოწმეთა შორის იყვნენ „შავი პანტერის“ პარტიის თავმჯდომარე ბობი ილი, ცნობილი ამერიკელი ადვოკატი უილიამ კანსტლერი და ქალაქ ბუფალოს მუნიციპალური საბჭოს წევრი არტურ ივი, რომელიც შედიოდა პატიმართა აჯანყების დროს ამ საპყრობილეში მყოფ მეთვალყურეთა ჯგუფში.

„ნიფიც მსჯულთა ეიურიმ“ გულდასმით განიხილა მოწმეთა ჩვენებანი და ერთსულოვნად ცნო ხელისუფალთა წარმომადგენლები დამნაშავედ „მკვლელობასა და ვენოკიდის მიზნით შეთქმულებაში“.

საშიში ინციდენტი

ნიუ-იორკი. 3 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სატვირთო კარავანმა „დაკარგა“ ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული რკინიგზის ვაგონი, რომელიც მას მიჰქონდა.

ბუქსირით მცურავი კარავანი, რომელიც ამერიკის უტიერის (ალასკა) სამხედრო ბაზიდან მიემართებოდა „უცნობი მიმართულებით“ და მიჰქონდა ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული 24 რკინიგზის ვაგონი, მოხვდა შტორმული ქარების ზოლში კანადის პროვინციი ბრიტანეთის კოლუმბიის ნაპირების მახლობლად. ზღვაზე ძლიერი ღელვის დროს ერთ-ერთი ვაგონი გაქრა, მეორე კი გადაყირავდა და მისი სასაკედილო ტვირთი ბაქანზე აღმოჩნდა.

კანადის ნაპირებთან მომხდარ ინციდენტს მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის გამო არ მოჰყოლია მსხვერპლი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

სამაგიდო წიგნი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები 1883-1970

გამოვიდა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები 1883-1970". იგი დაწერა ავტორთა კოლექტივმა და გამოსცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ.

მკითხველი წიგნის წინასიტყვაობიდანვე გრძნობს, რომ გადადგმულია ახალი დიდი ნაბიჯი საქართველოს კომპარტიის ისტორიის საფუძვლიანი და მეცნიერული შესწავლის გზაზე.

„ნარკვევები" შეიცავს ჩვიდმეტ თავს. იწყება საკითხით „ბატონყმობის გაუქმება საქართველოში" და მთავრდება — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის ამბებით.

წიგნში მოცემული მასალები, საარქივო დოკუმენტები ერთხელ კიდევ ცხადყოფენ იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები თავიდანვე მტკიცე და საიმედო იყვნენ იმ დიდ ბრძოლაში, რომელსაც ეწეოდა ვ. ი. ლენინი ახალი ტიპის პარტიის შექმნისა და რევოლუციური მარქსიზმის პრინციპების სიწმინდის დაცვისათვის. პარტიის რიგების ერთიანობისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდისათვის. პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა დიადი მეგობრობის სულისკვეთებით მასების აღზრდისათვის.

ვ. ი. ლენინი მშრომელი ქართველი ხალხის დიდი მეგობარი იყო. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ წიგნი მკითხველს აძლევს ნათელ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ ზრუნავდა და ეხმარებოდა ბელადი საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს. ისინი ბელადის ზრუნვას, ბრძნულ ხელმძღვანელობას გრძნობდნენ არა მარტო პროლეტარული რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში, შინაური და საერთაშორისო კონტრრევოლუციის გაერთიანებულ ძალთა წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის ვითარებაში, არამედ მაშინაც, როცა იწყებდნენ პირველი ნაბიჯების გადადგმას სოციალიზმის მშენებლობის გზაზე.

„ნარკვევებში" ქronოლოგიური თანმიმდევრობით ნაჩვენებია საქართველოს კომპარტიის ძნელი, მაგრამ გამარჯვებებით აღსავსე ხალხოვანი ისტორიული გზა. აქ ლაპარაკია როგორც სოციალისტურ რევოლუციაზე, როცა პარტია წყვეტდა ძველი წყობილების დამსხვრევის უაღრესად ძნელ ამოცანას, ისე რევოლუციის შემდეგდროინდელ აღშენებლობითს პერიოდზე. როცა წყდებოდა ახალი, ეროვნული სახელმწიფოებრიობის, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შექმნის არანაკლებ ძნელი ამოცანები.

წიგნში მკითხველი შეხვდება ცნობებს, თუ რა ცვლილებანი მოხდა ქართველი ხალხის სოციალურ სტრუქტურაში, როგორ ყალიბდებოდა ქართველი სოციალისტური ერი. როგორ შეიქმნა და განმტკიცდა საქართველოს სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო.

„საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევების" ქართულ ენაზე გამოცემა დიდი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის იდეურ ცხოვრებაში.

ეს სამაგიდო წიგნი შეიქმნა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტში — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალში.

კადრებიმუდამ უნდა სწავლობდნენ

ჩვენი პარტია კომუნისტური მშენებლობის დიდსა და რთულ ამოცანებს წყვეტს. ამ ამოცანების შესასრულებლად საჭიროა სრულყოფილი პარტიული ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებს, დაუშვებლებელია ორგანიზაციებიდან ფორმალიზმი და ფეოდალური მეშვეობა. ის კი ძირითადად დამოკიდებულია პარტიულ კადრებზე. მათს იდეურ-პოლიტიკურ მომზადებასა და გამოცდილებაზე.

მასალების ნამდვილი ხელმძღვანელები რომ იყონ. ადამიანები ღრმად უნდა სწავლობდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ოფოფობიდნენ ლენინური ტიპის პოლიტიკური მოღვაწეთა თვისებებს ჩინი ჩინა. მისი ინტერნაციონალური კომიტეტი მუდმივად ზრუნავენ პარტიული და საბჭოთა მუშაკების ზრდისა და აღზრდისათვის.

სკკპ XXIII ყრილობისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ „საჭიროა სერიოზულად გაეაუქმებოთ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების მომზადება და გადამზადება. როგორც ეინგრში. ისი ადგილობრივ უნდა გაეშალოთ ხელმძღვანელი მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და იდეურ-თეორიული მომზადების უზუმდესმქმედი ცენტრების ფართო ქსელი"

პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მთელ ჩვენს ქვეყანაში 1967 წლის იანვრიდან მოაწყო ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების გადასამზადებელი მოემზადმქმედი სარესპუბლიკათაშორისო. საოლქთაშორისო და რესპუბლიკური კურსები. ასეთი კურსები შექმნილია ჩიინს რესპუბლიკაში. სარესპუბლიკათაშორისო და რესპუბლიკურ კურსებზე ჰ. ბაბოში გადამზადებას გადიან საქართველოს. სომხეთის დაღესტნისა და აზერბაიჯანის ხელმძღვანელი პარტიული. საბჭოთა და გაზეთის მუშაკები. პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნები. რაიონული და საქალაქო აღმასკომების თავმჯდომარეები. რაიონული და საქალაქო გაზეთების რედაქტორები. ინტერნაციონალური გაზეთების მუშაკები. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების, ეროვნული ოლქების, ეროვნული და საქალაქო კომიტეტების, ეროვნული ინტერნაციონალური კომიტეტების. ეროვნული ინტერნაციონალური კომიტეტების. ეროვნული ინტერნაციონალური კომიტეტების.

ბეზიმიანაიას გმირები

ბრძოლაში დაცემულნი დაე მუდამ მახსოვდეს ჩვენ ეროვნული ბიბლიოთეკა
იულიუს ფუჩიკი, როგორც მეგობრები, ნათესავები, როგორც თქვენ თვითონ ხართ.

სტეფანე ქაშურკო

ნარკვევ „ბეზიმიანაიას გმირების“ ავტორი სტეფანე ქაშურკო ეროვნულიტი-ქველმოქმედელია. მეშვიდე წელია იგი დადის დიდი სამამულო ომის გზებით და ეძებს უცნობ გმირებს, არაჩვეულებრივად მამაც და ოვიანი ბიდის ადამიანებს. სტეფანე ქაშურკომ უკვე მონახა ორასზე მეტი გმირი, რომლებიც უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლებოდნენ. გამოარკვია სახელები და საბრძოლო გმირობა ბევრი უცნობი ჯარისკაცის, სერჟანტის, ოფიცრის და ოფიცრისა, რომლებიც დაეცნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში.

1970 წლის აპრილში სტეფანე ქაშურკო შეუდგა ქართველი მეომრების — გვარდიის უფროსი ლეიტენანტის ა. თავაძისა და გვარდიის სერჟანტის ბ. ფერაძის საბრძოლო გზის შესახებ მასალების ძიებას. საქართველოში ეს მეომრები უკვალოდ დაკარგულად ითვლებოდნენ, დაძებული ძიება წარმატებით დაგვირგვინდა: გარკვეულია ქართველი ბალის ღირსეული შვილების არა მარტო საბრძოლო, არამედ შრომითი გზაც.

ამას წინათ გმირების ა. თავაძისა და ა. ფერაძის მეუღლეებმა — ლუბამ და იულიამ დიდი მადლობის ნიშნად სთხოვეს სტეფანე ქაშურკოს მათი შვილობილი გამხდარიყო. სტეფანე დაეთანხმა ამ უჩვეულო თხოვნას. ახლა იგი ორი ქართველი დედის შვილობილია.

ამჟამად უფრნალისტი სტეფანე ქაშურკო თან ახლავს იზიუმის რაიონის მშრომელთა დელეგაციას, რომელიც საქართველოში იმყოფება ა. თავაძისა და ა. ფერაძის მშობლიური ადგილების დასათვალიერებლად. დელეგაციაში შედიან ხარკოვის ოლქის იზიუმის რაისაბჭოს აღმასკომის მდივანი ვ. პ. ჩუვპილო, ქალაქის სამხედრო კომისარი, პოდპოლკოვნიკი ნ. ფ. შახრაი, სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი პ. ვ. ლერეშიანკო, კოლმეურნეობა „პროგრესის“ პარტკომის მდივანი პ. ფ. ბარბუზი, 62-ე გვარდიული დივიზიის განსაკუთრებული განყოფილების ყოფილი უფროსი რ. ბ. შაციკი. ქვემოთ ვბეჭდავთ ხ. კაშურკოს ნარკვევს.

□ □

ესახლე მაღლობი ბეზიმიანაია მდებარეობს დონეცის პლატოს განმტოვებზე ხარკოვის ოლქის იზიუმის რაიონის სოფელ ზავოდის ახლოს. მისი თვალწარმტაცი თხემიდან შორს მოჩანს უკრაინის ველის სივრცეები, თეთრასახლებიანი მყუდრო სოფლები, ხუმუა მუხნარები, წყალუხვი სეკერსკი დონეცი.

დიდებული და ლამაზია ბეზიმიანაია წლის ყოველ დროს. ბუნებას სიძუნწე არ გამოუჩენია მის მორთვა-მოკაზმვაში. გაზაფხულზე იგი ნაზ მწვანეთ ფერად იმოსება. ზაფხულობით სურნელოვანი ეასმინის თეთრი ღრუბლით იფარება. შემოდგომაზე იგი მეწამულ-ოქროსფერ სამოსელს იცვამს. ზამთრობით ადამიანს ხიბლავს თოვლის ფაფუკი ქურქითა და ყინულის ფარულით. და მხოლოდ ღრმა ჭრილობები, რომლებიც დაფარულია ბეზიმიანაია, მოგვაგონებს წარსულ ომს და ანადგურებს მის მომხიბლელობას. ყოველ ნაბიჯზე ფეხს დაადგამ ეანგიან ნამსხვრევებს, ჰიღზებს, ტყვიით გაჯერებულ ხეებს. საითაც გაიხედავ, ყველგან ჩანგრეული სახლები, გაბარდული ორმოებია. ნაბრძოლავ მაღლობზე, რომელზეც დღემდე შეუღებავი ლითონის ფანრები ანთია, ჩანს, არ მოინახება ერთი მეტრი მიწაც კი, ლითონით ამოტენილი, ადამიანთა სისხლით გაჟღენთილი რომ არ იყოს.

ჰიტლერელ დამპყრობლებთან სამკვდრო-სასიცოცხლო მეტაკეტის ჟამს ამ მაღლობზე გმირულად იბრძოდა და დაიღუპა ჩვენი სამშობლოს ასობით მამაცი შვილი. გავიდა ათეული წლები, მაგრამ მაღლობი მაინც ჯერ კიდევ სავსეა საიდუმლოებებით და მაშინდელი გმირული დროის გმირთა მრავალი მიუკვლეველი სახელით.

წლების მანძილზე ბეზიმიანაიას გმირები უცნობი რჩებოდნენ. და აი ამას წინათ მაღლობის ძირი კოლმეურნეებმა აღმოაჩინეს საფლავი სამი საბჭოთა მებრძოლის ნეშტით. მათ ზედ ჰქონდათ ალუმინიუმის და ცეცხლით გარუჯული და სისხლით გაჟღენთილი დაფერფლილ დოკუმენტთა ნაგლეჯები. მაშინ შესაძლებელი გახდა გაერჩიათ მეომართა მხოლოდ გვარები: თავაძე, ფერაძე, ბაიაზიტოვი.

საბჭოთა მეომრების ნეშტი კოლმეურნეებმა პატივით გადაასვენეს ძმათა სასაფლაოზე, რომელიც სოფელ ზავოდის ცენტრშია მოედანზე. ვინ არიან ეს ადამიანები? საიდან არიან? იციან მახლობლებმა მათი ამბავი? ღელავდნენ მეცხოვრებლები, და ვერ პოულობდნენ პასუხს ამ კითხვებზე. გადავწყვიტე დავხმარებოდი მათ.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს არქივში შევიტყე, რომ სოფელ ზავოდისა და მაღლობ ბეზიმიანაიასათვის 1943 წლის ზაფხულში ჰიტლერელ დამპყრობლებს ებრძოდნენ 62-ე გვარდიული ვითელდრონოვანი, ზვენიგოროდის, ბუდაპეშტის სუვოროვისა და ბოგდან ხმელნიცკის ორდენების მარილელთა დივიზიის მეომრები. შევიწყალე დივიზიის საარქივო დოკუმენტები და მივაკვლიე მის ვეტერანებს — საბჭოთა კავშირის გმირებს გენერლებს მოშლიაკს, ეპეელინსა და სენტიურინს, გენერალ მიკიტენკოს, პოლკოვნიკებს კორკიშკოს და ნესტერენკოს. პოდპოლკოვნიკ ვინოკუროვს, მაიორ ბაკოვს. მათგან შევიტყე ბეზიმიანაიასათვის ბრძოლისა და მისი გმირების დაწვრილებითი ამბები.

1943 წლის 17 ივლისს, როცა გაჩაღებული იყო კურსკის ბრძოლა, 62-ე გვარდიული დივიზიის მეომრებმა მიიღეს საბრძოლო ბრძანება: გადაეკეთათ სვეტრსკი დონეცი: და მის მარჯვენა ნაპირზე შეებმა მოწინააღმდეგის დიდი დაჯგუფება, რომელიც ვერმანიის სარდლობას სასწრაფოდ გადაეყვანა დონბასიდან თავისი ჯარების მისაშველებლად, რომლებიც მარცხს განიცდიდნენ კურსკ-ბელგოროდის მიმართულებით. რადაც უნდა დამჯდარიყო გზა უნდა შეეკრათ მტრისათვის.

მათ გზა გადაუღონა არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ბატარიების, მიწაში ჩაფლული ტანკეებია. ხანგრძლივი საცეცხლე წერტილის. ძლიერწური საცეცხლე წერტილის მჭიდრო ცეცხლმა. მეომრები ჩაწვნენ... ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მეზობელი 53-ე და მე-20 მსროლელთა დივიზიების ნაწილები, რომლებიც ფლანგებიდან უტევდნენ.

დივიზიის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის პოლკოვნიკი მოწლიაკი, რომელიც სათაკლოვანო პუნქტზე იმყოფებოდა, დაძაბულად ელოდა გამოსვალს რთული სიტუაციიდან.

აუცილებლად აღებულ უნდა იქნას მაღლობი ბეზიმიანაია. გადაწყვიტა დივიზიის მეთაურმა. მოქმედების გეგმა თვითონ ვითარებამ უკარნახა: სიბნელეში ჯატარ-ჯატარა ჯგუფებად გაიდწიოთ მტრის საბრძოლო რიგებში. რამდენიმე მხრიდან უხმაუროდ ასულიყვნენ მაღლობზე და უეცარი დარტყმით დაუფლებოდნენ მას. შემდეგ ზურგში დაეშინათ ცეცხლი მტრისათვის, რომელიც სოფელ ზავოდში იმყოფებოდა.

პოლკოვნიკმა გამოუძახა საიმედო მეთაურებს, აუწყა თავისი განზრახვა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ნება დაგვრთეთ ეს ამოცანა ჩემმა ქვეგანაყოფმა შეასრულოს, — მიმართა ბოშლიაკს მეავტომატეთა ასეულის მეთაურმა გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა ა. თავაძემ.

ასეთივე თხოვნით მიმართეს აგრეთვე ნაღმმტყორცნელთა ოცეულის მეთაურმა გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა დუდარეკომ. მსროლელთა ასეულის მეთაურმა გვარდიის ლეიტენანტმა ბაიაზიტოვმა, ტანკსაწინააღმდეგო თოფების ოცეულის მეთაურმა გვარდიის სერჟანტმა ა. ფერაძემ.

— ნანახმა ვარ, იმოქნეიდეთ, — უპასუხა პოლკოვნიკმა. — დამხმარედ გაიღვიძეთ მესანგრეთა ოცეულს. მიზნისაკენ გაგიძღვებიან მზვერავები. ოპერაციისათვის კასუხისმგებლად ვნიშნავ უფროს ლეიტენანტ თავაძეს. ამოცანის შესრულება რაკეტებით გვაუწყეთ ან. რაციით შეგვატყობინეთ. ამოცანა ნათელია?

— ნათელია, ამხანაგო პოლკოვნიკო, — ერთხმად უპასუხეს გვარდიელებმა, — ნებას გვრთავთ წავიდეთ?

დივიზიის მეთაურმა მაგრად ჩამოართვა მამაცებს ხელი, გაუღიმა და უთხრა: „წადით, წარმატებას გისურვებთ“.

ოცდასამი საათი და ოცდაათი წუთი იყო. თავაძის რაზმმა ფარულად გადალახა წყლის ზღუდე და დაეკალებულ მარჯრუტზე გავიდა...

სვეტრსკი დონეცის ნაღმა ნაპირზე ბრძოლა ჰუსდა. მთელ ფრონტზე გრიგალივით დაჭეროდნენ მოტრასირე ტყვიები, ხშირად ცომცომებდა ეცეცხლის ალი, პროჟექტორების სხივები „ცას ფატრავდნენ, მიწას ლოკავდნენ.

ღამის ორი საათია. პოლკოვნიკი მოწლიაკი თვალს არ აშორებს მაღლობს, ელის დათქმულ სიგნალს. მაგრამ იგი არა და არა ჩანს. ნუთუ დაღუპნენ?..

და აი ბეზიმიანაიას მაღლა ცაში აიჭრა ნანატრი რაკეტები. დივიზიის მეთაურმა შვებით ამოისუნთქა: მაღლობი აღებულია!

განთიადისას, როგორც ნავარაუდევი იყო, ბეზიმიანაიადან მტრის საცეცხლე წერტილს სოფელ ზავოდში ქვემეხებმა და ნაღმსატყორცნებმა დაუშინეს. დივიზიის მეთაურმა მოსსენება მიიღო: „მოწინააღმდეგეს მოუმზადებელს მივუსწარით. მას თავისი დამხმარე ნაწილი ველოდეთ. საცეცხლე

ა. თავაძე.

ბ. ფერაძე.

ნაღმსატყორცნთა და ტანკსაწინააღმდეგო ბატარიები ჩვენს ხელშია. ფაშისტებს მათივე იარაღით ვანადგურებთ. ჩვენი დანაკლისი უმნიშვნელოა. თავაძე“.

ღილის ცხრა საათზე 186-ე გვარდიული პოლკის ქვეგანაყოფებმა მოწინააღმდეგე სოფელ ზავოდიდან განდევნეს, დაუკავშირდნენ ბეზიმიანაიას მებრძოლ მოწინააღმდეგის დიდი დაჯგუფება, რომელიც ვერმანიის სარდლობას სასწრაფოდ გადაყავდა დონბასიდან თავისი ჯარების მისაშველებლად, რომლებიც მარცხს განიცდიდნენ კურსკ-ბელგოროდის მიმართულებით. რადაც უნდა დამჯდარიყო გზა უნდა შეეკრათ მტრისათვის.

მათ გზა გადაუღონა არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ბატარიების, მიწაში ჩაფლული ტანკეებია. ხანგრძლივი საცეცხლე წერტილის. ძლიერწური საცეცხლე წერტილის მჭიდრო ცეცხლმა. მეომრები ჩაწვნენ... ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მეზობელი 53-ე და მე-20 მსროლელთა დივიზიების ნაწილები, რომლებიც ფლანგებიდან უტევდნენ.

დივიზიის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის პოლკოვნიკი მოწლიაკი, რომელიც სათაკლოვანო პუნქტზე იმყოფებოდა, დაძაბულად ელოდა გამოსვალს რთული სიტუაციიდან.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ნება დაგვრთეთ ეს ამოცანა ჩემმა ქვეგანაყოფმა შეასრულოს, — მიმართა ბოშლიაკს მეავტომატეთა ასეულის მეთაურმა გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა ა. თავაძემ.

ასეთივე თხოვნით მიმართეს აგრეთვე ნაღმმტყორცნელთა ოცეულის მეთაურმა გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა დუდარეკომ. მსროლელთა ასეულის მეთაურმა გვარდიის ლეიტენანტმა ბაიაზიტოვმა, ტანკსაწინააღმდეგო თოფების ოცეულის მეთაურმა გვარდიის სერჟანტმა ა. ფერაძემ.

— ნანახმა ვარ, იმოქნეიდეთ, — უპასუხა პოლკოვნიკმა. — დამხმარედ გაიღვიძეთ მესანგრეთა ოცეულს. მიზნისაკენ გაგიძღვებიან მზვერავები. ოპერაციისათვის კასუხისმგებლად ვნიშნავ უფროს ლეიტენანტ თავაძეს. ამოცანის შესრულება რაკეტებით გვაუწყეთ ან. რაციით შეგვატყობინეთ. ამოცანა ნათელია?

— ნათელია, ამხანაგო პოლკოვნიკო, — ერთხმად უპასუხეს გვარდიელებმა, — ნებას გვრთავთ წავიდეთ?

დივიზიის მეთაურმა მაგრად ჩამოართვა მამაცებს ხელი, გაუღიმა და უთხრა: „წადით, წარმატებას გისურვებთ“.

ოცდასამი საათი და ოცდაათი წუთი იყო. თავაძის რაზმმა ფარულად გადალახა წყლის ზღუდე და დაეკალებულ მარჯრუტზე გავიდა...

სვეტრსკი დონეცის ნაღმა ნაპირზე ბრძოლა ჰუსდა. მთელ ფრონტზე გრიგალივით დაჭეროდნენ მოტრასირე ტყვიები, ხშირად ცომცომებდა ეცეცხლის ალი, პროჟექტორების სხივები „ცას ფატრავდნენ, მიწას ლოკავდნენ.

ღამის ორი საათია. პოლკოვნიკი მოწლიაკი თვალს არ აშორებს მაღლობს, ელის დათქმულ სიგნალს. მაგრამ იგი არა და არა ჩანს. ნუთუ დაღუპნენ?..

და აი ბეზიმიანაიას მაღლა ცაში აიჭრა ნანატრი რაკეტები. დივიზიის მეთაურმა შვებით ამოისუნთქა: მაღლობი აღებულია!

განთიადისას, როგორც ნავარაუდევი იყო, ბეზიმიანაიადან მტრის საცეცხლე წერტილს სოფელ ზავოდში ქვემეხებმა და ნაღმსატყორცნებმა დაუშინეს. დივიზიის მეთაურმა მოსსენება მიიღო: „მოწინააღმდეგეს მოუმზადებელს მივუსწარით. მას თავისი დამხმარე ნაწილი ველოდეთ. საცეცხლე წერტილი,

— ებრძოლოთ მტერს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე! — თქვა ბაიაზიტოვმა

— ვიდეთ სიკვდილამდე! — გადადიოდა სანგრიდან სანგარზე, მებრძოლიდან მებრძოლამდე.

უფრო და უფრო ბინდდებოდა. ღამე ბეზიმიანაიას შავ ფარდას აფარებდა. მაღლობს ფარსკვლავიანი ალი კიბანტური კრავი გადაეფარა.

სანგრებს თავს დასჩრქალიყვნენ სიკვდილი, ულმობლად რომ მიეჭოლა მებრძოლთა სიცოცხლე. არავის არ უნდოდა სიკვდილი. ყველანი ახალგაზრდები იყვნენ. თვითეულს რჩებოდა მასლობლები, ნათესავები, მეგობრები, ამხანაგები, ოჯინენა, იმედები და მომავლის ოცნებები...

ბეზიმიანაიას მაღლობზე მდგომი გვარდიული გარნიზონის მეთაური უფროსი ლეიტენანტ ამბროსი თავაძეს ოცდათრმეტი წელი უსრულდებოდა. იგი დაიბადა საქართველოში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვანის ღარიბი გლეხის ოჯახში. პატარაობაშივე ბევრი გაჭირვება უნახავს. მეჭიღლის დამზარად მუშაობდა. ამბროსი მიხვდა: საჭიროა სწავლა. დაამთავრა სკოლა, სუბტროპიკული ტექნიკუმი. აქტიურად მონაწილეობდა თავისი მხარის კოლმეურნეობათა შექმნაში, უმაღლესი განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და თვითონ გახდა მასწავლებელი. გორში საუკეთესო პედაგოგად და სკოლის დირექტორად ითვლებოდა. გორის საქალაქო საბჭოს ღეპუტატად აირჩიეს. დაჯილდოვეს მედლით „შრომითი მამაცობისათვის“. თავაძეს საქართველოში რჩებოდა ცოლი (პედაგოგი) ლუბა ონისიმეს ასული და ორი პატარა შვილი — ალმასწორი და ფეიქურაში (ახლა ორივეს უმაღლესი განათლება აქვს და თბილისში მუშაობენ).

ამდენივე წლისა იყო მისი განუყრელი მებრძოლი მეგობარი სერჟანტი ალექსანდრე ფერაძე, რომელსაც აგრეთვე რჩებოდა საქართველოში შესანიშნავი ოჯახი: დედა ანა ალექსანდრეს ასული (იგი ახლა 86 წლისაა), ცოლი — იულია ილიას ასული და ქალიშვილები ლელა და მაყვალა (ეს უკანასკნელი მაშინ დაიბადა, როცა საშა უკვე ფრონტზე იყო წასული). ფერაძე დაიბადა ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ვახანში, რკინიგზელის ოჯახში, მამასთან ერთად მუშაობდა რკინიგზაზე. ჩინებულად სწავლობდა სკოლაში, შემდეგ ტექნიკურ სასწავლებელში. წითელ არმიაში სამსახურის დროს დაამთავრა თბილისის სამხედრო საარტილერიო სასწავლებელი. ომის წინ ხაშურის რკინიგზის წვეთის ქვესადგურის ელექტრომეკანიკოსად მუშაობდა. სადაც მოწინავე მუშად და დაუღალავ საზოგადო მუშაკად ითვლებოდა.

...შუაღამე ახლოვდებოდა, ბრძოლა კი არ წყდებოდა. გათავსებდნენი ფაშისტები. კალიასავით მოძვრებოდნენ მაღლობზე. მათ სოცადგენენ, სრესდნენ, ისინი კი მაინც მოძვრებოდნენ. ბეზიმიანაიას ფერდობებზე ეცეცხლისა და ლითონის ნაკადი გრიალებდა, თხრიდა და ამაბინძვრებდა — მიწას. მამაც საბჭოთა მეომრებს გრუხენი აყრუებდათ, ბვარტლი სულს უხუთავდათ, მაგრამ ისინი უკან არ იხევნენ, იბრძოდნენ როგორც წითელი რაინდები და კვდებოდნენ როგორც ნამდვილი გმირები.

სულ უფრო და უფრო ნაკლები რჩებოდნენ მაღლობის დამცველნი. დაიღუპნენ ნაღმსატყორცნთა ოცეულის მეთაური უფროსი ლეიტენანტი დუდარეკო, ტანკსაწინააღმდეგო თოფების ასეულის მეთაური უფროსი ლეიტენანტი გუროვი, მეტყველბაფრქვევეთა ოცეულის მეთაური, უმცროსი ლეიტენანტი გაგარინი, სნაიპერი ბახროვი, მზეყრილი უხნოვი, ძმიმედ დაიჭრა მედიცინის და რაისა ალექსანდროვსკაია. მეორედ დაიჭრა თავაძე, მაგრამ ბრძოლის ველს არ ტოვებდა. ფერაძის და ბაიაზიტოვის დახმარებით ის კვლავ ხელმძღვანელობდა ბრძოლას.

და აი დადუმდნენ ჩვენი ნაღმსატყორცნები და ზარბაზნები. შეწყდა ტყვიამფრქვევთა სროლა. ტყვია-ნაღმები გაუთავდათ. დივიზიისთან კავშირი აღდგენილი არ იყო. მებრძოლნი ძალებისაგან იცლებოდნენ. მორჩა. მაღლობის შენარჩუნება არაფრით აღარ შეიძლებოდა. და თავაძემ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება: გაერღვია ფაშისტთა რკინის რკალი და გაბრილიყო თავისიანებისაკენ. ამისათვის კი ჭერნდათ ხელფუმარები, ავტომატები, დანები და მესანგრის ნიჩბები.

დადგა გადამწყვეტი წუთი. თავაძე მთელი ტანით წამოიმართა. მაღლობზე გაისმა მისი ომახიანი ხმა:

— გვარდიელებო! სამშობლოსათვის! სტალინისათვის! წინ!

სტეტყვასავით ცვიოდა ნამსხვრევები, ტყვია წვიმასავით მოდიოდა. გვარდიელები მიეშურებოდნენ და ეცემოდნენ, თავიანთი სისხლით რწყავდნენ აბოლებულ მიწას. ბეზიმიანაიას თითქმის ზედ ძირზე მტრის ტყვიამ გული გაუგმირა ლეიტენანტ თავაძეს. იგი აიტაცეს სერჟანტმა ფერაძემ და ლეიტენანტმა ბაიაზიტოვმა, რამდენიმე ნაბიჯი გადაღვეს და განგმირულ იქნენ ფაშისტთა ტყვიით.

ბეზიმიანაიას გმირები, სამშობლოს მეზნებარე პატრიოტები — ამბროსი თავაძე, ალექსანდრე ფერაძე და ნასიბეკ ბაიაზიტოვი გვარდიელებმა. ბეზიმიანაიაზე დამარხეს ახალგაზრდა მუხის ქვეშ.

ხუთი დღე და ღამე ბეზიმიანაიაზე მიუვალ ციხე-სიმაგრედ იდგა გვარდიული გარნიზონი. მისი გმირები ნაღმებზე, მაგრამ პირნათლად შეასრულეს საბრძოლო დავალება. მტრის დიდმა დაჯგუფებამ კურსკთან ვერ გამოაღწია.

იცნობენ თუ არა ბეზიმიანაიას გმირთა მეძლრეულ გმირობასა და ბიდს მათს სამშობლოში?

ჩემს შეკითხვაზე საქართველოდან და ყაზახეთიდან გულსატკენი პასუხი მივიღე: ამბროსი თავაძე, ალექსანდრე ფერაძე და ნასიბეკ ბაიაზიტოვი უკვალოდ დაკარგულად ითვლებიან.

გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ბეზიმიანაიას დანარჩენ დამცველებსაც მათს სამშობლოში უკვალოდ დაკარგულად თვლიან.

მაგ იცოდეს ყველამ, რომ ბეზიმიანაიაზე არ ყოფილან უკვალოდ დაკარგული და უსახელო გმირები, არამედ იყვნენ ისინი, ვისი სახელი და სახელი საბრძოლო საქმეებიც ისტორიაში შევა.

იზიუმის რაიონის მშრომელები წმიდად ინახავენ დალუპული საბჭოთა მეომრების ხსოვნას.

სოფელ ზავოდის ცენტრალურ მოედანზე 62-ე გვარდიული დივიზიის მებრძოლთა და მეთაურთა პატივსაცემად აღმართულია დიდებული ძეგლი. მის მონუმენტზე ოქროთი ამოკვეთილია სახელები 900-მდე გვარდიელისა, რომლებიც დაიღუპნენ სამშობლოს განთავისუფლებისას.

ბეზიმიანაიას სამ გმირს — ამბროსი პავლეს-ძე თავაძეს, ალექსანდრე იასონის-ძე ფერაძეს და ნასიბეკ ბაიაზიტის-ძე ბაიაზიტოვს რაიონის მშრომელებმა სიკვდილმემდგომ მიანიჭეს „იზიუმის ოლქის საპატიო მოქალაქის“ წოდება.

მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ბეზიმიანაიაზე ბრძოლებმა გადაიქუხა. მაგრამ დღემდეც იქ კიდევ არ მოშუშებულა ძმური ჭრილობები, რომლებიც მოგვაგონებენ საბჭოთა დივიზიის მეომრების დიად მამაცობას. ბეზიმიანაიას გმირების ხსოვნის აღსანიშნავად მადლიერმა იზიუმელებმა ამას წინათ მას გვარდიული უწოდეს. ამერიკიდან აღარ არის სიმაღლე ბეზიმიანაია, არის სიმაღლე გვარდიისაია — იმათი მარადიული ძეგლი, ვინც უყოყმანოდ გასწირა თავისი სიცოცხლე, იცავდა რა დიდი ოქტომბრის მონაპოვარს, სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

„იაკობობა“ ვარიანში

საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ ტრადიციას

ქართველი ხალხი სასოებით ინახავს თავის შესანიშნავ შვილთა სახელებს. რამდენ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი ამ უკანასკნელ წლებში მათ უკვდავსაყოფად. ამა გავიხსენოთ „ოთოთობა“, „ილიობა“, „ვაჟაობა“ და აი, მათ დაემატა კიდევ ერთი სახალხო დღესასწაული — „იაკობობა“. იგი უკავშირდება დიდ ქართველ პედაგოგისა და მოაზროვნის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის სახელს.

ჯერ კიდევ ადრე ცნობილმა მეცნიერმა პედაგოგმა გ. თავზიშვილმა არაერთხელ გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ ავტორის იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღე დიდ საერთო-სახალხო დღესასწაულად ქცეულიყო. ნაქართველოს კმ გორის რაიკომისა და გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონმსაქმის დადგენილებით ხორცი შეესხა ამ აზრს — დაწესდა სოფელ ვარიანში ყოველი წლის ოქტომბრის ბოლო კვირას „ლინიშნოს იაკობის დღე „იაკობობა“.

აი პირველი დღესასწაულიც იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ სოფელ ვარიანში. ამდენი სტუმარი არასოდეს არა სწვევია გორის რაიონის ამ პატარა სოფელს. ვის არ ნახავდით აქ, ახლომახლო რაიონებიდან, გორიდან, ქარელიდან, კასპიდან თუ თბილისიდან მოწვეულ სტუმრებს — გამოჩენილ მეცნიერებს, პედაგოგებს ლიტერატურისა თუ ხელოვნების მოღვაწეებს, პარტიული თუ საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებს, კოლმეურნეებს. ახალგაზრდობას, მოსწავლეებს, ყველას ვისთვისაც ძვირფასი და მშობლიური დიდი იაკობის სახელი.

სოფლის მისადგომებიდანვე იგრძნობოდა დღესასწაული. გზის ორივე მხარეს ამშვენებს „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ ილუსტრაციები, გოგებაშვილის ნაწარმოებთა გმირთა სახეები.

სახალხო მეტინგი, რომელიც „იაკობობის“ ტრადიციად დადგა, შესავალი სიტყვით გახსნა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. გოცირიძემ; მოხსენება იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წაიკითხა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა შ. არსენიძემ. მიტინგზე სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ ფაწლმოსილი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი აკ. შანიძე, ვარიანის საბჭოთა მეურნეობის მუშა მ. კოკაური, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. ბოცვაძე, დოცენტი ზ. კიკნაძე, პროფესორი დ. ლორთქიფანიძე, შინდისის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. სამნიაშვილი, გორის ბამბეულის კომბინატის მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ტატარაშვილი და სხვები.

ზეიმს კონცერტი მოჰყვა. ხალხური თამაშობანი „ჭიდაობა“ „კალოობა“, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში ახალი ჩანაწერები გაჩნდა. საინტერესო ჩანაწერები დატოვეს აკადემიკოსმა ილია ვეკუამ, აკადემიკოსმა ალექსანდრე შანიძემ და სხვა სტუმრებმა.

იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღის „იაკობობის“ ტრადიციულ დღესასწაულად დაუსებასთან დაკავშირებით ვარიანის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სკოლაში გაიმართა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო სესია.

ლ. ლალიაშვილი.

საქართველოს ხოვრება

მშვიდობის განმტკიცების კურსი

მსოფლიოს საზოგადოებრივობა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს საფრანგეთისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტების შედეგების გამო, ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ ვიზიტებს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმისათვის.

პარიზი. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი საფრანგეთში გახდა „ისტორიული მოგზაურობა, მეგობრობისა და მშვიდობის მისია“, — წერს „ოფიციალური „ფრანს ფუელი“, ეს იყო ღირსშესანიშნავი კვირა, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შესანიშნავი დღეები.

„ფრანს ფუელი“ აღნიშნავს „მხურვალე და აღფრთოვანებულ მიღებას, რაც ლ. ი. ბრეჟნევს ფრანგმა ხალხმა გაუწია და წერს, რომ საფრანგეთის საზოგადოებრიობის დიდი უმრავლესობის აზრით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვიზიტმა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა აიყვანა უფრო მაღალ საფეხურზე და მეტი დინამიზმი მიანიჭა მას“.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის გულითად და გულწრფელ ურთიერთობას, წერს შემდეგ „ფრანს ფუელი“, საფუძველად უდევს ურთიერთმისწრაფება შეინარჩუნონ ევროპის დაძაბულობა, განამტკიცონ ევროპის კონტინენტზე მშვიდობის ბოლო კვირას ალინიშნოს იაკობის დღე „იაკობობა“.

აი პირველი დღესასწაულიც იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ სოფელ ვარიანში. ამდენი სტუმარი არასოდეს არა სწვევია გორის რაიონის ამ პატარა სოფელს. ვის არ ნახავდით აქ, ახლომახლო რაიონებიდან, გორიდან, ქარელიდან, კასპიდან თუ თბილისიდან მოწვეულ სტუმრებს — გამოჩენილ მეცნიერებს, პედაგოგებს ლიტერატურისა თუ ხელოვნების მოღვაწეებს, პარტიული თუ საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებს, კოლმეურნეებს. ახალგაზრდობას, მოსწავლეებს, ყველას ვისთვისაც ძვირფასი და მშობლიური დიდი იაკობის სახელი.

სოფლის მისადგომებიდანვე იგრძნობოდა დღესასწაული. გზის ორივე მხარეს ამშვენებს „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ ილუსტრაციები, გოგებაშვილის ნაწარმოებთა გმირთა სახეები.

სახალხო მიტინგი, რომელიც „იაკობობის“ ტრადიციად დადგა, შესავალი სიტყვით გახსნა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. გოცირიძემ; მოხსენება იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წაიკითხა გორის ნ. ბარათაშვილის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა შ. არსენიძემ. მიტინგზე სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ ფაწლმოსილი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი აკ. შანიძე, ვარიანის საბჭოთა მეურნეობის მუშა მ. კოკაური, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. ბოცვაძე, დოცენტი ზ. კიკნაძე, პროფესორი დ. ლორთქიფანიძე, შინდისის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. სამნიაშვილი, გორის ბამბეულის კომბინატის მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ტატარაშვილი და სხვები.

ზეიმს კონცერტი მოჰყვა. ხალხური თამაშობანი „ჭიდაობა“ „კალოობა“, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში ახალი ჩანაწერები გაჩნდა. საინტერესო ჩანაწერები დატოვეს აკადემიკოსმა ილია ვეკუამ, აკადემიკოსმა ალექსანდრე შანიძემ და სხვა სტუმრებმა.

იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღის „იაკობობის“ ტრადიციულ დღესასწაულად დაუსებასთან დაკავშირებით ვარიანის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სკოლაში გაიმართა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო სესია.

ლ. ლალიაშვილი.

დიქტატის შედეგი

კანბერა, 3 ნოემბერი. (საკდესი). ავსტრალიის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება დაამაყოთველოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნიქსონის თხოვნა, რომ მიმდინარე წლის დამლეგის სამხრეთ ვიეტ

ესტონეთის ლენინური კავშირის საქართველოს სსრ-ში 27X-5XI 1971

გულთბილი შეხვედრები

2 ნოემბერს შავი ზღვის თვალწარმტაცი სანაპირო საბჭოთა აჭარა იყო საქართველოში ესტონეთის კულტურის დღეების ცენტრი.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ლ. უჩლება ძირფას სტუმრებს გულმხურვალედ მიესალმა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით.

ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ვიალემესმა თავის გამოსვლაში დიდი მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის.

შემდეგ დელეგაციის წევრები იყვნენ ბათუმის ბოტანიკურ ბაღსა და წაქვის ფ. ი. ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

• • •

აჭარაში ყოფნის მეორე დღეს ესტონელი სტუმრები ეცნობოდნენ ჯორჯრა ჰობლოთს.

მასპინძლები შეიკრიბნენ მოკლე დროში სტუმრებისათვის ეჩვენებინათ ყველა საინტერესო ადგილი. მეგობრობის მარშრუტი მრავალფეროვანი და მდიდარი იყო.

ესტონეთის კულტურის დღეების მონაწილენი იწვიეს ბათუმის აკვარიუმს, ბათუმის სტადიონს სახელობის ნათლიაბადასამშობლოდან ქართველ ... და ყველანი. სადაც უნდა ყოფილიყვნენ, უაღრესად გულთბილად, გულითადად ხვდებოდნენ მათ, ყველგან ეგებებოდნენ ყველანი, კეთილი ძმური ღიმილით.

3 ნოემბერს ესტონელი სტუმრები თბილისში ჩამოვიდნენ. (საქ.ფსი).

სოხუმი, 3 ნოემბერი. (საქ.ფ.ს.ს.). მზიური ათეთზეთში გრძელდება ესტონეთის სსრ კულტურის დღეები საქართველოში.

დიდი წარმატება ხვდა წილად სათორტეპიანო დუეტის — ესტონეთის სსრ დამსახურებული არტისტების ანა კლასისა და ბრუნო ლოკის კონცერტს. რომელიც გაიმართა სოხუმის დ. არაყიშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის დარბაზში. შესანიშნავმა მუსიკოსებმა შთაგონებით შეასრულეს ესტონელი კომპოზიტორების ე. კაპისა და ლ. აუსტერის, შუბერტის, ბეთის, ვიენალდის, რახმანინოვისა და სხვათა ნაწარმოებები. შემდეგ პროფესორები ა. კლასი და ბ. ლუკი ესტონურენ მეორეი მუსიკალური სკოლის პედაგოგებს, გაეკვნენ სასწავლო პროცესს. მასპინძლებს გაუზიარეს თავიანთი შემოქმედებითი ჩანაფიქრები და პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება.

ესტონეთის სსრ დამსახურებული პროფესორი ალმერ ტენნისარი წინათვალ ბეთრერ ყოფილა ათეთზეთის ქალაქებში: ესტონეთის სახელმწიფო საესტრადო ორკესტრთან ერთად. მაგრამ ალბერტზე, რომელიც „ეიტუს“ საესტრადო ანსამბლის ადგილი. მეგობრობის მარშრუტი ... ...